კასპი, დეკემბერი, 2018

საველე გასვლის ანგარიში

მწვანე ალტერნატივა

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

საველე გასვლა განხორციელდა მწვანე ალტერნატივას ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროსთან თანამშრომლობით მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და იგი არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს შეხედულებებს.

© მწვანე ალტერნატივა, 2018

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74;
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG

სარჩევი

ანოტაცია 3
1. გარემოზე ზემოქმედება 4
1.1 დაბინძურებული ჰაერი 4
1.2 ხმაური 4
1.3 დაზიანებული გზები 5
1.4 დაზიანებული საკანალიზაციო სისტემა 6
2. სოციალური ზემოქმედება 6
2.1 ჯანმრთელობის პრობლემები 6
2.2 დასაქმება 6
2.3 სოციალური პროექტები 7

ანოტაცია

2018 წლის დეკემბერში მწვანე ალტერნატივას თანამშრომლები ქ. კასპში ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ქარხნის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით საველე გასვლაზე იმყოფებოდნენ.

საველე გასვლის დროს გამოვკითხეთ ქ. კასპის მოსახლეობა, კერძოდ: ფარნავაზის ქუჩის (ქარხნისუბანი), ჭავჭავაძის ქუჩის, სააკაძის ქუჩის, ეფრემ მეორის ქუჩისა და თევდორეს ქუჩის (ვარჯაანის დასახლების) მაცხოვრებლები. სულ გამოიკითხა 30 ადამიანი.

საველე გასვლის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- დაბინძურებული ჰაერი;
- ქარხნის მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ხმაური და მტვერი;
- ჰაიდელბერგცემენტის მანქანების გადაადგილების შედეგად დაზიანებული გზები;
- მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა;
- ქალაქში ქაოტურად დაყრილი ნარჩენები;
- ჯანმრთელობის პრობლემები;
- დასაქმება.

ქალაქ კასპში ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ მოწესრიგებულია. მოსახლეობას აქვს მუდმივი გაზი და წყალი, რომელიც გრაფიკით მიეწოდებათ. ქალაქში გზები და კანალიზაცია მოწესრიგებულია, გამონაკლისს წარმოადგენს ფარნავაზის ქუჩა (ქარხნის უბანი).

1. გარემოზე ზემოქმედება

1.1 დაბინძურებული ჰაერი

ქ. კასპის მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას დაბინძურებული ჰაერი წარმოადგენს. მოსახლეობა ძირითადად უჩივის ჰაიდელბერგცემენტის საწარმოებიდან და კომპანიის მანქანების გადაადგილების შედეგად ჰაერის დაბინძურებას. ადგილობრივების თქმით, განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა არის ზაფხულში, როცა ტენიანობა ნაკლებია. მოსახლეობის თქმით, კომპანია ზაფხულის ცხელ დღეებში გზებს რწყავს, თუმცა ეს საკმარისი არ არის. გადამზიდ მანქანებს აქვს დიდი გამონაბოლქვი და ამის გამო, იქ ზაფხულობით სუნთქვაც კი შეუძლებელია. ფარნავაზის ქუჩის მაცხოვრებლების თქმით, ათწლეულების წინ, როდესაც საწარმო სახელმწიფოს საკუთრება იყო, მანქანები საწარმოდან გამოსვლის წინ ირეცხებოდა; ახლა კი, მსგავსი რამ აღარ ხდება.

მოსახლეობის ნაწილი თვლის, რომ წინა წლებთან შედარებით მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია, რადგან კომპანიამ დანადგარები შეცვალა და ფილტრები დააყენა.

1.2 ხმაური

ფარნავაზის ქუჩის (ქარხნის დასახლების) მაცხოვრებლების უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი საწარმოს მუშაობით გამოწვეული ხმაურია. ქარხანა 24 საათის განმავლობაში მუშაობს. როგორც, ადგილობრივები ამბობენ ღამის განმავლობაში მუდმივად არის ხმაური, რაც მათთვის შემაწუხებელია. მაცხოვრებლები, ასევე, ჩივიან მანქანების მუდმივი გადაადგილების შედეგად გამოწვეული ხმაურის გამო.

1.3 დაზიანებული გზები

ქალაქ კასპში გზები გამართულია. გამონაკლისს წარმოადგენს ფარნავაზის ქუჩა. გზა დაზიანებული და ატალახებულია (განსაკუთრებით წვიმიან ამინდში). ანალოგიური მდგომარეობა არის თავად ქარხნის შესასვლელთანაც. მაცხოვრებლების თქმით, მდგომარეობა მუდმივად ერთნაირია, რადგან ზაფხულის ცხელ დღეებშიც გზები ირწყვება. სატვირთო მანქანები კი გამუდმებით მოძრაობენ გზაზე, რაც მის დაზიანებას იწვევს.

მოსახლეობის თქმით, მათ არაერთხელ მიმართეს როგორც გამგეობას, ისე კომპანიას, თხოვნით, მოეწესრიგებინათ გზა. მათი თხოვნა დღემდე არავის გაუთვალისწინებია. ჰაიდელბერგცემენტი პასუხობს, რომ ეს გამგეობის საქმეა და მათ არ ეხებათ, გამგეობა კი კვლავ კომპანიაში ამისამართებს ხალხს.

ფარნავაზის ქუჩის მაცხოვრებლებმა გვითხრეს, რომ ამ პრობლემის გამო, საპროტესტო აქციაც არაერთხელ გამართეს, თუმცა შედეგი არც ამან გამოიღო. მათივე თქმით, გზაზე არსებულ ორმოებს კომპანია დროგამოშვებით ნაწილ-ნაწილ ამოავსებს ხოლმე. თუმცა, მთლიანი გზის რეაბილიტაცია არასოდეს არ მომხდარა.

ფარნავაზის ქუჩის მაცხოვრებლები ასევე ამბობენ, რომ კომპანიას შეუძლია შემოვლითი გზა გამოიყენოს და ამ ქუჩაზე აღარ გაიაროს; თუმცა, ეს შედარებით გრძელი გზაა და შესაბამისად, კომპანია არ იყენებს.

1.4 დაზიანებული საკანალიზაციო სისტემა

ქალაქში საკანალიზაციო სისტემა ძირითადად გამართულია. პრობლემას წარმოადგენს ფარნავაზის პირველი ნომერი, სადაც სისტემა უკვე რამდენიმე თვეა დაზიანებულია და ფეკალური მასა პირდაპირ სადარბაზოს შესასვლელთან გაედინება. მაცხოვრებლების თქმით, უკვე რამდენიმე თვეა კორპუსში ანტისანიტარიაა და სუნი აწუხებთ. მოსახლეობა თვლის, რომ საკანალიზაციო სისტემის დაზიანება მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილებამ გამოიწვია. კორპუსის მცხოვრებლებმა არაერთი განცხადება დაწერეს და გააგზავნეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში, თუმცა არცერთ განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია და დღემდე არც პასუხი არ მიუღიათ.

2. სოციალური ზემოქმედება

2.1 ჯანმრთელობის პრობლემები

მოსახლეობის უმრავლესობამ გამოკითხვისას აღნიშნა, რომ ცემენტის ქარხნის მუშაობის გამო, ძალიან არის გაზრდილი ასთმური და სხვადასხვა სახის დაავადებები. რამდენიმე ადამიანმა, რომელსაც მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავს, გვითხრა რომ ბავშვებში განსაკუთრებით ხშირია ალერგია. „თვეებია ვმკურნალობ უკვე ბავშვს, უამრავი მედიკამენტით, მაგრამ შედეგი კვლავ არ გვაქვს, ბაღში არაერთ ბავშვს აწუხებს იგივე პრობლემა“ - გვითხრა ქარხნის დასახელების მაცხოვრებელმა.

2.2 დასაქმება

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ უმუშევრობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. ქალაქის მაცხოვრებლების უმეტესობა თვითდასაქმებულია.

გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათაც და სხვა ადგილობრივებსაც აქვს კომპანიაში დასაქმების სურვილი, თუმცა ეს შეუძლებელია. მათი თქმით, დასაქმება ძირითადად ნაცნობობით ხდება. ამასთან, სამუშაოს ძირითადად დანადგარები ასრულებენ და ამიტომ კომპანიას დამატებითი მუშახელი არ სჭირდება.

ქარხნის დასახლების მაცხოვრებლების თქმით, მათ ქუჩაზე 80 კომლიდან სულ 9 კაცი არის დასაქმებული. ახალგაზრდების უმრავლესობა უმუშევარია. მათ არაერთხელ მიმართეს კომპანიას დასაქმების თხოვნით,

თუმცა მათი დასაქმება არ მომხდარა. „პარლამენტში უფრო ადვილად მოხვდები ვიდრე ამ ქარხანაში“ - აღნიშნა ქარხნის უბნის მაცხოვრებელმა.

როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, დასაქმებულების სამუშაო პირობები ნორმალურია. მათ აქვთ კვება და ჯანმრთელობის დაზღვევა. ხელფასი საშუალოდ 500-600 ლარია.

რაც შეეხება ახალი ქარხნის მშენებლობას, სამშენებლო სამუშაოებზე ძირითადად დასაქმებულები არიან ჩინელი მუშები, რომელთათვის საცხოვრებელი ბანაკები ფარნავაზის ქუჩაზევე არის მოწყობილი.

2.3 სოციალური პროექტები

ქალაქის მაცხოვრებლების თქმით, კომპანიას არანაირი სოციალური პროექტი არ განუხორციელებია დღემდე, თუ არ ჩავთვლით საფეხბურთო მოედანს, რომელიც რამდენიმე წლის წინ გააკეთეს. ფარნავაზის ქუჩაზე გამოკითხულმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ კომპანიას მოსახლეობაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ დღემდე არაფერი გაუკეთებია. „ქარხნიდან ჩვენ არანაირი სარგებელი არ გვაქვს. ჰაერი დაბინძურებულია, ვერ ვსუნთქავთ, გზები დაზიანებულია ამ მანქანების გადაადგილების გამო და მაგასაც არ აკეთებს ქარხანა“ - ქარხნის უბნის მაცხოვრებელი.